წელიწადი პირველი. — № 3. ხუთშაბათი, 5 ივლისი 1906 წ.

ფასი : 6 კაპ.



ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მ. 60 კ., სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: (**საპიოორის ქუჩა, № 43**) და წერა-კითხვის ხელოვნების მაღაზიაში.

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

3144

„გლეხის“ რედაქცია ღია არის ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან 12 საათამდის და ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 6 საათამდის.

შინაარსი

თავისუფლება. — ჩონგურზედ, ლექსი ევდოშვილისა. — გლეხის წერილები, ქართველ გლეხისა. — ლექსი თომაშვილისა. — გლეხი და მემამულე. — გლეხების კავშირი რუსეთში, ობოლისა. — ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — სახალხო არაკი.

თავისუფლება

იქნება ისეთი გლეხი, რომელიც იტყვის: „მიწა თუ ჩავიგდე ხელში, სხვა არაფერი არ მინდაო; მიწა მომეცით, სხვა ყველაფერი თქვენი იყოსო“. იტყვის და კი არ ჩაუკვირდება თავის სიტყვებს. დიდი უბედურება შეემთხვევა ადამიანს და ბევრს გასაჭირს განიცდის, როდესაც წინდაუხედველია და მოუფიქრებლად მოქმედობს.

მიწა პირველი საქმეა, გლეხს უმიწოთ ცხოვრება არ შეუძლია, მაგრამ მარტო მიწითაც ვერ იცხოვრებს გლეხი და მიწასაც არავინ შეარჩენს, თუ მიწასთან ერთათ არ მოიპოვა თავისუფლებაც. თავისუფლება ჰაერია ყოველი ადამიანისთვის, მხოლოთ თავისუფალ ადამიანს შეუძლია იცხოვროს ისე, როგორც მას სურს და ვისაც არ შეუძლია თავის ნებისამებრ ცხოვრება, ის განა ბედნიერი იქნება? კაცი რომ შევბორკოთ და დავატუსაღოთ, მაგრამ კარგად რომ ვაჭამოთ და ვასვათ, მდიდრულად გამოვაწყოთ, მშვენიერ სასახლში დავაბინაოთ, განა ის კმაყოფილი იქნება?, არა ის ხმამაღლა დაიყვირებდა: გამიშვით, არ მინდა თქვენი სასახლე, თქვენი ფარჩა და ოქრო-ვერცხლიო!

მაშ ნუ ვიტყვით, რომ მარტო მიწაა საჭირო. საჭიროა თავისუფლებაც. აბა, კარგად გავარჩიოთ, ახლო ვნახოთ, თუ რა არის ეს თავისუფლება? თავისუფლება არის ის, რომ ყოველი ადამიანი თვითონ უნდა იყოს თავისი პატრონი, მომვლელი და გამძღოლი: რაც უნდა, ის ილაპარაკოს და წეროს, როგორც უნდა, ისე შეიკრიბოს და შეუამხანაგდეს სხვებს, სადაც უნდა, იქ წავიდეს, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს თავისი შრომა და შრომის ნაყოფი, რაც უნდა, ის იწამოს და რომელ ღმერთსაც უნდოდეს, იმას შეეევედროს.

დღემდის რუსეთში მხოლოთ მონობა იყო და არავითარი თავისუფლება არ მოიპოვებოდა. ავიღოთ მაგალითისთვის გლეხების მდგომარეობა. გლეხები ვითომ ყმობისაგან გაანთავისუფლეს, მაგრამ წინანდელი ბატონების მაგიერ ახალი ბატონები დაუყენეს — მოხელეები (ჩინოვნიკები), რომელთაც ხელში ჩაიგდეს ყველაფერი: მართვა გამგეობა, სამართალი, გლეხის ქონება, პატიოსნება, სიცოცხლე და, რაც

ყველაზე უფრო წმინდაა ადამიანისათვის, სარწმუნოებაც. არაფრის ნება არ ჰქონდა გლეხს: განაგებდენ მის ბედ-იღბალს, ასამართლებდენ, ართმევდენ ქონებას, დასცინოდენ და შეურაცხყოფდენ, როგორც უნდოდათ. არც საზოგადო, არც საოჯახო, არც პირად საკუთარ საქმეში გლეხს არ შეეძლო ფეხის გადადგმა, თუ არ დაეკითხებოდა და ნებას არ თხოვდი მამასახლისს, ბოქაულს, მაზრის უფროსს. მოსელეებისათვის სასარგებლოა გლეხების გაუნათლებლობა და უცოდინარობა, ამიტომ ცდილობდენ, რომ გლეხებს არ გაეხსნათ სკოლები, არ წაეკითხათ წიგნები და გაზეთები. მთავრობა, როგორც ერთგული მეგობარი მდიდრებისა, სულ იმის ცდაში იყო, რომ გაღატაკებული მუშა ხალხი არასოდეს არ გამართულიყო წელში, არ ამოელო ხმა მჩაგვრელების წინააღმდეგ: ყველაფერს დიდი ბაჟი დაადვა, რასაც მუშა და გლეხი ხმარობს, როგორიცაა შაქარი, მარილი, სპიჩკა (წუმწუმა), თუთუნი, ნავთი და სხ. ბაჟი დაადვა აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანილს საქონელს; ამით, რასაკვირველია, ჯიბე გაუსქელა ადგილობრივ მწარმოებლებს და ვაჭრებს, რადგან არავინ იყიდიდა უცხოეთის ძალით გაძვირებულს საქონელს, მაგრამ სამაგიეროთ ტყავი გააძრო ღარიბ ხალხს.

ასე იყო დღემდის და ასე იქნება მაშინაც, როდესაც მთელი მიწა გადაეცემა მუშა ხალხს, თუ ამასთანავე არ დამყარდა თავისუფლებაც. ვსთქვათ, რომ მიწა დაურიგდათ გლეხებს, მაგრამ ისინი მაინც ბოქაულისა და გუბერნატორის ხელ ქვეით დარჩენ. მაშინ გლეხი ვერ ისარგებლებს მიწით, ვერ დახნავს და ვერ დასთესავს, ვერ გაყიდის და ვერ დახარჯავს მოსავალს, თუ ნება არ აიღო ბატონ უფროსისაგან. თუ გლეხი დღევანდელსავით მთავრობის ყურმოჭრილი ყმა იქნა, მთავრობა ათასნაირ გადასახადს და ბაჟს შეაწერს გლეხს და რაც მიწისაგან შემოსავალი ექნება, სუყველაფერს მთავრობა წაიღებს. ვსთქვათ, რომ გლეხს მიწა ექნება, მაგრამ სასამართლო ისევ ეხლანდელი მთავრობის ხელში დარჩება. მაშინ უთანხმოება და შეტაკება რომ მოუვა გლეხს მდიდარ მემამულესთან, ვაჭართან, გლეხი ვერასოდეს ვერ ეღირსება სამართალს: სასამართლოში გაბატონებული იქნება ისევ ძალადობა, მექრთამეობა და მატყუარობა. სასამართლო ისევ მდიდრების და შეძლებულების ინტერესს დაიცავს. ვსთქვათ, რომ გლეხებმა მიწა მოიპოვეს, მაგრამ კანონი ძალებურად მთავრობის ხელში იქნა. მაშინ მთავრობა გამოსცემს ისეთს კანონს, რომ გლეხებმა კვირაში სამი დღე მდიდრებისათვის უნდა იმუშავონ. ვსთქვათ, რომ გლეხებმა მოიპოვეს მიწა, მაგრამ არ მოიპოვეს თავისუფლება. მაშინ გლეხები ვერ შეიკრიბებიან თავსუფლად, ვერ მოილაპარაკებენ თავის ჭირ-ვარამზე, ვერ ილაპარაკებენ თავისუფლად, ვერ გაიგებენ სამართლეს, ვერ წაიკითხავენ იმ წიგნებს და გაზეთებს, რომლებიც მათთვის არის დაწერილი. გლეხები ვერ შეერთდებიან და ვერ შეკავშირდებიან, რომ ერთათ აწარმოვონ თავისი საქმეები, ერთათ მოხნან და დასთესონ. ერთად გასაღონ ჭირნახული, ერთათ შეიძინონ სხვადასხვა საქონელი; გლეხებს არ ექნებათ იმის ნებაც, რომ თავისუფლად იაროონ და ყოველი პოლიციელიც მათი ბატონი და ბრძანებელი იყოს. ნება, გლეხებს არ ექნებათ იმის ნება, რომ ხმა ამოიღონ მთავრობის უსამართლობის და მყვლეფავების თავგასულობის წინააღმდეგ; გლეხი ვერ გაიგონებს და ვერც თვითონ იტყვის. მაშინ თავისუფალს და მართალს სიტყვას; გლეხს არ შეეძლება ილაპარაკოს თავის დედა-ენაზე, ისწავლოს, რაც მისთვის სასარგებლოა, ეეედროს იმ ღმერთს, რომელიც მას სწორ-ერთის სიტყვით, გლეხს ექნება მიწა, მაგრამ გლეხი იქნება მონა, რომელმაც უნდა იცხოვროს ისე, როგორც ამას უბრძანებს მთავრობა.

ასეთი იქნება თავისუფლებას მოკლებული გლეხის მდგომარეობა. ამიტომ ნურავინ იტყვის: მარტო მიწაო, არამედ ყველამ სთქვას: მიწა და თავისუფლება!

მიწის მუშა გლეხკაცობამ უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის, უნდა მოიპოვოს თავისუფლებაც. თავისუფლებას მოიპოვებს გლეხკაცობა და საზოგადოთ მშრომელი ხალხი, როდესაც გადააყენებს დღევანდელ მთავრობას, აღარ დასტოვებს არც უფროსსა და არც უნცროსს მოხელეს, თვითონ გაუძღვება თავის საქმეებს, თვითონ გამოსცემს კანონს, თვითონ დაადგენს სამართალს, იმოქმედებს თავისუფლად და არა ისე, როგორც უბრძ

ნებს ბოქაული გუბერნატორი, მინისტრი ან თუნდ ხელმწიფე.

ვამბობთ: მიწა არავის საკუთრება არ უნდა იყოს, მიწა თავისუფალი უნდა იყოს. აგრეთვე თავისუფალი უნდა იყოს მიწის მუშა გლეხკაცობაც. **თავისუფალი მიწა — თავისუფალ მუშებისათვის!**

᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ

—:—

დავკრავ, დავძახებ ᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ;
მშვიდო, ირემო, ჯერანო,
ქურციკო, კლდეზე ნასტიმო,
გაუხედნაო მერანო;
თქვენა მჯობიხართ ისევა,
დარბიხართ იალაღზედა,
მე კი მონა ვარ ბატონის,
თოკი მაბია მკლავზედა!

—

დავკრავ, დავძახებ ᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ
ვიტევი: ნიავო დილისა,
ფოთლების ტკბილო ჩურჩულო,
ვერხვო ალაზნის პირისა:
თქვენა მჯობიხართ ისევა,
ხარობთ და სტკებებით გულითა,
მე კი სხვის კარზე ვთენებ,
ნამგალ-ცელით და გუდითა!

—

დავკრავ, დავძახებ ᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ
ვიტევი: რა მწარე ბედია,
მეც ხომ კაცი ვარ და სხვის წინ
რათ მომიხრია ქედია!
შინ კერა გამცივებია,
სხვის კარზე დავიარები,
ვწევიტე და ვწევიტე მაინც
ვერ მოვიშორე ვალები!

—

ეჰე, ამისთანა სიცოცხლეც
ზედ დამიხდია ქვისთვინა,
᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ, ᩠ᲩᲔᲛᲝ ᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ,
შენ რადამ აგაქვითინა!
მოიცა, რადაც ხმა ისმის,
ცისკარიც წითლათ ენთება,
იმედი არი გლეხ კაცსაც,
რომ ერთხელ გაუთენდება!

—

მაშ არ გაგვიტეხეს ᩠ᲩᲔᲜ ᲒᲣᲚᲘ
᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ, ᲢᲙᲑᲘᲚᲝ ᲮᲛᲘᲐᲜᲝ,
ᲕᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ
ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜᲝ!
ᲘᲥᲘᲗ ᲒᲐᲕᲬᲘᲗᲗ, ᲓᲐᲕᲫᲐᲮᲗ,
ᲩᲐᲕᲬᲠᲘᲐᲚᲓᲗ ᲮᲘᲛᲔᲑᲘ,
ᲕᲐᲥᲗ, ᲕᲐᲓᲘᲓᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ
ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ!

—

᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ, ᩠ᲩᲔᲛᲝ ᲜᲣᲒᲔᲨᲝ,
᩠ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲗᲔ. ᲢᲙᲑᲘᲚᲝ ᲮᲛᲘᲐᲜᲝ,
ᲛᲢᲔᲠᲖᲔ ᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ,
ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜᲝ!

ი. ევდოშვილი

ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

მთავრობა

წინა წერილში მე ვთქვი, რომ მშრომელ გლეხობას ბევრი დამჩაგვრელი ჰყავს მეთქი. გლეხებს სჩაგრავს და იბრიყვებს პოლიცია, მთავრობა, მემამულე და ძალიან ხშირად ისეთი გლეხებიც, რომლებსაც ჯიბე გაუსქელებიათ და თავის სუსტ მოძმეს სულს უხუთავენ.

დავიწყოთ თავიდან.

რა არის და რისთვის არის მოგონილი პოლიცია? ვინ დაუყენა ხალხს ბოქაული, ჩაფარი, გუბერნატორი და მამასახლისი? რას აკეთებენ, ან ვის ემსახურებიან ეს მუქთახორა ავაზაკები?

პოლიცია იმისთვის არის მოგონილი, რომ მდიდრებს მშრომელ ხალხის გაყვლეფაში ხელი გაუმართოს და, თუ გაჭირდება, იარაღით მიეშველოს. ბოქაულები, ჩაფრები, გზირები, მამასახლისები და ამისთანა წურბელები ხალხს მოახვია მთავრობამ, მინისტრებმა, მეფემ, რომელნიც ყურმოჭრილი მონები არიან მდიდარ მემამულეებისა და ვაჭრებისა. ყველანი ემსახურებინ სიმდიდრეს, ყველას უნდა გამდიდრება, მაგრამ რადგან პატიოსან შრომით შეუძლებელია გამდიდრება, ამიტომ ველაძუებმა და გაქნილებმა ასეთი ხერხი მოიგონეს: ხალხი უგუნურია, ბოროტია, უჭკუოა და არ იცის, რა არის მისთვის სასარგებლო და რა არაო. ამიტომ ხალხს პატრონობა და ყურისგდება უნდაო. პატრონად ხალხს დაუყენეს მეფე, თვითონ კი ამ მეფეს გარს შემოეხვივნენ

და ხალხის ოფლითა და სისხლით დაიწყეს ცხოვრება, პარპაშობა და ფუფუნება.

ვინ არის მეფე?

ჩვენი მეფე არის ყველაზედ მდიდარი კაცი მთელ ქვეყანაზე. მარტო იმას და იმის ოცოდე ნათესავს მთელ რუსეთში აქვთ სამოცი მილიონი დესეტინა მიწა, ესე იგი, ათჯერ მეტი მთელ საქართველოზე. წელიწადში შემოსდის რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთი, აქვს აუარებელი სასახლე, ბაღები, ვენახები და სხ. მაგრამ მეფე ამას არ კმაროობს და წელიწადში ხაზინიდან 14 მილიონ მანეთს იღებს. ზოგი იტყვის, მეფე მდიდრულად უნდა ცხოვრობდესო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ განა ორ-სამ მილიონით არ შეიძლება მდიდრულად ცხოვრება? ძალიან კარგად შეიძლება, მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე ის არის, საიდან იშოვა მეფემ ამოდენა სიმდიდრე? საიდან და ხალხის ზურგიდან, ხალხის ოფლიდან, ხალხის ნამუშავარიდან. აბა სად არის სამართალი: რაც ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს გლეხობას მიწა აქვს, ათი იმოდენა მარტო ერთ კაცს აქვს!

მაგრამ ამოდენა მიწა განა მარტო მეფეს აქვს? სულაც არა! მეფესთანა მდიდარი არავინ არის, მაგრამ იმისთანა კი რამდენიმე ასი ათასია, რომელთაც აუარებელი მამული და სიმდიდრე აქვთ. მშრომელი ხალხი ამ უსამართლობას ხედავს, მაგრამ ჯერჯერობით ეს უსათლობა ვერ მოუსპია.

რატომ, რა ამბავია?

ის ამბავია, რომ ვინც ასეთ უსამართლობას არ დაემორჩილება, ვინც თვითონაც თვალს აახელს და სხვებსაც ასწავლის რამეს, ვინც მოინდომებს ასეთ უსამრთლობის მოსპობას, მას მაშინვე თავზე მოახვევენ ჩაფრებს, ბოქაულებს, მთელ პოლიციას, სასამართველოს და ან ციხეში ჩასვამენ, ან ციმბირში გადაასახლებენ, ან სახრჩობელაზე აგზავნიან. მერე რათა შვრება ამას მთავრობა? იმიტომ რომ ის თავის თავსა და მუქთახორა მდიდრებს იცავს და უყარაულებს. მერე რა შუაშია აქ მეფეო, იკითხავს ვინმე. როგორ არ არის შუაში! მეფე ბელადია, მეთაურია, წინამძღვარია მთავრობისა და ყველაფერი, რასაც მთავრობა სჩადის, მეფის თანხმობით ხდება. განა მ... არ იცის, რომ მთავრობა ხალხის ფულს ფ... გავს? განა მეფემ არ იცის, რომ მთავ... ხალხს უზომოდ სტანჯავს, იკლებს, აწიო... და აოხრებს? განა მეფემ არ იცის, რომ ... ულს მთელი საქართველო გადასწვეს და მ... თან გაასწორეს? როგორ არ იცის! ძ... კარგად იცის, მშვენივრად იცის! მერე ... ამბობს, რას შვრება? აჯილდოვებს, აქებ... თავზე ხელს უსვამს ამ მთავრობას. მ... დამე, მეფე მათი მომხრე ყოფილა. ან რ... არ იქნება მათი მომხრე, როცა ისინი მ... და იმისთანა მდიდრებს ემსახურებიან! ... გულ მონას და მოსამსახურეს ქება და ... ქარი უნდა, თორემ ტყუილ უბრალოდ ... არ მოინდომებს სამსახურსა და მუშაობას.

მეფის პირველი მოსამსახურენი არიან მ... ტრები და სენატორები. მინისტრებს მოს... გუბერნატორები, გუბერნატორებს — მ... უფროსები, მაზრის უფროსებს — ბოქაულ... ბოქაულებს — მამასახლისები, მამასახლისებ... გზირები, ხოლო გზირებზე ქვევით დგა... ორმოცი მილიონი ხალხი, რომელიც მუშ... და ოფლსა ღვრის ერთი მუჭა მთავრობისთ... და მდიდრებისთვის. მაგრამ მთავრობა მ... მინისტრებისაგან და გზირებისაგან არ შეს... ბა. მთავრობის მარჯვენა ხელს შეადგენს ... მართლო და სამღვდელოება.

სასამართლო იმიტომ არი გაჩენილი, ... მართალი და მტყუანი გაარჩიოს, ძლიერს ... ტი არ დააჩაგვრინოს და ყველგან და ... ლაფერში სიმართლე დაიცვას. მაგრამ ვის ... ეხლანდელი სასამართლო, მართალსა თუ მტ... ანს? ძლიერსა თუ სუსტს? მდიდარს თუ ღ... ბს? ყველამ კარგად ვიცით ვისაც ემსახ... ბა და ვისაც იცავს ეხლანდელი სასამართ... ათასი მართალი იყოს ღარიბი და ათასი მტ... ანი იყოს მდიდარი, სულ ერთია, სასამართ... მაინც მდიდარს გაამართლებს და ღარიბს ... ამტყუნებს. საცა უფალია, საცა ძალაა, სამ... თალიც იმის მომხრეა. სად შეუძლიან ღარ... ღატაკს სასამართლოში მთელი წლობით ... რული, ვექილების დაჭერა და აუარებელ ფ... ლის დახარჯვა? მდიდარი კი ფულით ყველ... ფერს გააკეთებს. მისცემს ფულს ვექილ... და ისინი მოუვლიან იმის საქმეს. ეს ყველ...

გამოგვიცდია და ყველამ კარგად ვიცით, რომ სამართალი ფულით ისყიდება, ფული კი მარტო მდიდრებს აქვთ, მოსამართლე კი მდიდრების მსახურია და აბა როგორ გაბედავს თავის ბატონის გამტყუნებას და გაჯავრებას?

მაგრამ სასამართლო არაფერია სამღვდელოებასთან შედარებით. ჩვენი მღვდლები, ეპისკოპოსები და ყველანი, ვინც არაფორას ატარებენ, მთავრობის ყურნოკრილი მონები არიან. ამათზე ორპირი, ორგული, გამყიდველი, ცრუ და მატყუარა ხალხი ჯერ ქეყანაზე არ გაჩენილა.

ბევრი რამე მაქვს სალაპარაკო მღვდლებზე, მაგრამ ეს შემდეგისთვის გადავდოთ.

ქართლელი გლეხი.

* *
*

(გადმოკეთებული).

უტსოელები გვეწვიენ, —
მიწა მოგვეიდე ფასადო,
არ დავიშურებთ ოქროსა
და მოგცემთ ერთი ასადო!
— ვაჭრად მოსულო სტუმარო,
რად დაგვინახე ავადო?
სამშობლოს მიწა მოგეიდოთ?
ნურავფერს უკარგავადო!...
შენ ჩვენი გულის ნადები
არ იცი-რადა დროსია: —
ვინც მიწათ ვაჭრობს, — ჩვენ თავადში
ველური, ბარბაროსია!...
ოქრო და ვერცხლი ბევრი გაქვს,
თავად-აზნაურობის სარ მქონე,
და ჩვენი მიწის საეიდლად
მაინც არ შეგწევს ძალ-დონე!
ვთქვათ, რომ დასცალე ხაზინა
ჩვენ ტურფა არე-მარეში,
რა ფასს გაიღებ, გვეთანხარი,
სამშობლო მნათობ მთვარეში?
ჩვენ რომ მზის სხივი ფანჯრებში
დიმალეთ გველამუნება, —
რა ფასად გინდა იყიდო
ჩვენი ლამაზი ბუნება?
ტყის იდუმალი შრიალი,
ან ველ-სათიბის ბიბინი,
ან ბალ-წალკოტი შემკული,
ან ზეცა ჩვენია ვვერგვინი?
ან წმინდა ძვლები მამების,
და-ძმათა სიფლავ-სამარე,
ან ია ზედ-ამოსული,
ან ჯვარი მასზე მდგომარე?
მთის მკერდით გადმოხეთქილი
ჩანჩქერ-ნაკადი ჩხრიალა,
ან ტყარი ზეცის მანანა
და ალმასივით ბრწყვიალა?
ვაზი რქა-ფოთოლ-მტევანი
შეწმახნულ-შეგრეხილები
და ან ფრინველთა ტიკტიკი,
სამშობლოს ძალის ბირები?
ბულბულის სტვენა-რაკრაკი,
გულის მნათობად მკვნესარე,
ხან აგზნებული ცათამდე,
ხან სევდიანი, მკვნესარე?!..
არა და არა, ვაჭარო,
არა, არ შეგვწევს ძალ-დონე,
თუმც მდიდარი ხარ ოქროთი
და მითვე თავის მომწონე!..
სამშობლო მიწა ჩვენ ოფლით
გაგვიბან-შეგვიმოსია
და ვინც მას ეიდის, ეიდულობს, —
ველური, ბარბაროსია!..

დ. თომაშვილი. —

ᲒᲚᲔᲮᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ

რევოლუციის ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდება სოფელში. მოძრაობის ტალღა იზრდება და გლეხები დღითი დღე რევოლუციონერდებიან, უფრო გაბედულად და თავგანწირულად ეკიდებიან საერთო საქმეს, მედგრად იბრძვიან. მთელს რუსეთს მოედვა არეულობა: გლეხები ძარცვავენ და სწვავენ მემამულეების სახლკარს, ჩეხავენ მათ ტყეებს, ხნავენ მიწას, თიბავენ მინდვრებს, თავისთვის მიირეკავენ მემამულეების საქონელს. კეტებით, ნაჯახებით და იარაღით უხვდებიან გლეხები ყაზახებს და დარაჯებს, რომელთაც მთავრობა ჰგზავნის მათ წინააღმდეგ. ყველგან გამწვავდა მემამულეების და გლეხების დამოკიდებულება. გლეხები დასცინიან და ემუქრებიან მემამულეებს.

გაჰქრა სამუდამოდ გლეხების მორჩილება და მოთმინება. გაჰქრა ის დრო, როდესაც გლეხი იოლად იტანდა სიმშილსაც და გაწყრომა - გამათრახებასაც. წინათ რომ მთავრობის კაცი ან მემამულე უსამართლოთ დაჩაგრავდა გლეხს, გლეხი მწარეთ ამოიოხრებდა ხოლმე, კისერს მოიფხანდა და იტყოდა თავის გულში: ასე უნდა ვიტანჯებოდე, ღმერთს ასე გაუჩენია ქვეყანაო.

ახლა სულ სხვაა. გლეხებმა ახლა ხმა ამოიღეს. ახლა გლეხები უდებენ პირობას მემამულეს, გლეხები აწესებენ იჯარის ფასს და სამუშაო ქირას. თუ გლეხები მშიერნი არიან, სტეხავენ მემამულის ბეღელს და მიაქვთ პური. თუ მემამულე უზომო საიჯარო ფასს ადებს თავის მიწას, გლეხები ძალით ხნავენ მის მიწას და არაფერსაც არ აძლევენ.

დღეს გლეხები მეტის მეტად გაჭირვებულნი არიან, გალატაკდნენ უზომო გადასახადებისაგან, უფრო კი შეწუხებულნი არიან უმიწობით. მემამულეები სარგებლობდენ ამით და მუდამ ტყავს აძრობდენ გლეხებს: დიდი საიჯარო ქირა, ჯარიმები, სესხის სარგებელი—ყველაფრით ავიწროებდა მემამულე გლეხს. ბატონყმობა მოისპო ქაღალდზე, ნამდვილათ კი არსებობდა და გლეხი ისევ ყმა იყო მემამულისა. მიწა მემამულის ხელში იყო და გლეხსაც არაფერი შეეძლო, თუ მემამულეს არ ეყმებოდა. ასე იყო დიდხანს: მემამულეები ქეიფობდენ და ილხენდენ, გლეხები კი მუშაობდენ, იტანჯებოდენ და უდროოდ კვდებოდენ.

ასეა დღესაც და იქნება კიდევ, სანამ მიწა არ ჩაჩოერთმევა მემამულეებს. გლეხს არა აქვს პური, არა აქვს თესლი, არა აქვს საქმელი და სასმელი. გლეხი მშიერია, ავათ არის, — ეს გაუგებარია მემამულესათვის, ამას დარდი არა აქვს. გამწარებული გლეხები ხშირათ სამაგიეროს უხდიან მემამულეებს: მოგილოვის გუბერნიაში ერთმა მემამულემ მიწა არ მიაქირავა გლეხებს, გლეხებმა აიღეს და მოჰკლეს ის. კიევის გუბერნიაში გლეხებმა სთხოვეს მემამულეებს, ნაჭერ-ნაჭერად მოგვყიდეთ მიწებიო; მემამულეებმა ეს არ ათხოვეს. მაშინ გლეხები დაეცნენ მემამულეების სასახლეებს და სულ გაანადგურეს.

მთავრობა, რასაკვირველია, მემამულეების მხარეზეა და არაფერს აკეთებს გლეხების სასარგებლოდ პირიქით, სოფლებს სულ სალდათებით და ყაზახებით აავსო, რომელთაც ნაბრძანები აქვთ აიკლონ გლეხები, თუ გადასახადს არ მისცემენ, წინააღდეგობას გაუწევენ მემამულეებს. მოჩენილმა ალიხანოვმა ასე შეუთვალა გურულ გლეხებს: „მე გელაპარაკებით თქვენ სიტყვით და გიცხადებთ, თუ სამ დღის განმავლობაში არ შემოიტანთ ყველა გადასახადებს, მაშინ გამოგიგზავნი პოლკოვნიკ კრილოვს, გავრილოვს, რომელნიც ზარბაზნებით დაგიწყებთ ლაპარაკსო“. ასე ემუქრებოდენ ხალხს, რომელს საჭმელი და პური არ გააჩნდა სახლში.

მთავრობა ემუქრება, სდევნის და მაცურად ეპყრობა გლეხებს. სამაგიეროტკბილის ენით ესაუბრება მემამულეებს და ყოველს საშუალებას ხმარობს, რომ გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა. ამ წინათ მთავრობამ შეუთვალა თავის გუბერნატორებს: „მემამულეებზე რომ სახელმწიფო გადასახადია დარჩენილი, ნუ შეეხებთ ამისთვის, ნელ-ნელა და ნაწილ-ნაწილად შემოიტანონო“.

ასეა ყოველთვის: მთავრობას ებრალება შეძლებული ხალხი, მემამულე თავადაზნაურობა, მაგრამ არ ებრალება დაბეჩავებული და გალატაკებული გლეხკაცობა. ამიტომაც არის, რომ აღსდგენ გლეხები აღარაფერში ენდობიან მთავრობას, კანონებათ გაიგეს, თუ ვისი მეგობარიცაა მთავრობა, და დაიწყეს ბრძოლა, რომ ძალა დასცენ მთავრობა, დაამარცხონ მემამულეები და მთელი მიწა გადასცენ მიწის მშიერებს.

გლეხების კავშირი რუსეთში.

—:—

„ბევრი თავის და ხელის ჭირამეო და ეს ბარალსო“, ამბობს ჩვენებური ძველი

სწორეთაც რომ ჯეშმარიტებას ამბობს; სად ერთი კაცის ჯეუა-მისწრაფება და სად ათის, ასის და ათასის. ეოველ საქმეს აქვს კარგ მხარესთან ცუდი მხარეც. ზოგი კაცი იმისთვისაა, რომ მარტო საქმის კარგი მხარის შეგნება შეუძლიან და ზოგი კიდევ ისეთია, რომ მარტო ცუდს დაინახავს. ბევრნი კი, რომ ერთათ მოიფიქრებენ და მოიდაბარაკებენ, ადვილად გამოარკვევენ ხოლმე ავსაც და კარგსაც, და საქმესაც უკეთ მოაწეობენ. შეთანხმება საჯირო თითქმის ეოველ საქმისათვის. ძველი ზღაბრები მოგვითხრობენ: მამა რომ შვილებს ანდერძს უტოვებს, ეოველთვის ამას ურჩევს, ერთად და თანხმობით იცხოვრეთ, თორემ თითო-თითოდ მტერი დაგძლევთ და ეველანი დაიდუბებითო. ცხადი მაგალითი გვიდგა ეველას თვალ წინ ერთ ბირობის და თანხმობის სარგებლობისა. ამ ორი კვირის წინეთ თბილისის ტრამვაის (კონკის) მოსამსახურე-მომუშავეებმა შეკრეს ბირი ადარავის არ ემუშავნა, ვიდრე მათი მთავრობა არ მიიღებდა უკან მათ სუთ დათხოვნილ ამხანაგებს და არ გააუმჯობესებდა მათ სამსახურის ზოგ ბირობებს. ბევრი იხტუნეს ტრამვაის ბატრონებმა და ბევრი იცეს თავში; თვით გენერალ-გუბერნატორიც კი ასკინკილით ახტუნავეს, მაგრამ ვინემ არ დაკმაყოფილეს მათი მოთხოვნილებანი, ფეხიც არ მოიცვალეს. ეოველი დღე კი ტრამვაის ბატრონებს დიდი სარჯი მოსდით და მეტი რა გზა ჰქონდათ, რომ არ დასთანხმებულიეეკნენ. დაკმაყოფილეს მუშები. ან რა საჯირო ზღაბრები და მაგალითები, ეს ისეთაც ცხადია ეველასთვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქამდის ამ ერთ ბირობის და შეკავშირების ნაოფეით სარგებლობენ მხოლოდ მდიდარი მექარხნეები, სოფლაგრები და მემამულეები. ხერსონის, ბოდოლის, ბოლტავის, კიევის და კიდევ სხვა გუბერნიების გლესები უმთავრესად ჯარხალს სთესავენ. ამ ჯარხლის წვენიდგან მექარხნები ამზადებენ შაქარს, მაგრამ რადგან მოეკვნა ჯარხლის და მომზადება შაქრისა სხვა და სხვა გუბერნიებში სხვა და სხვა ფასად უჯდებათ მექარხნეებს, ამიტომ ზოგი ქარხანა უფრო იაფად ჭიდიდა შაქარს და მისი ქარხნის შაქარი უფრო ვრცელდებოდა. მეორე ქარხანა შეექიშებოდა და ესეც ამდენსაც და ზედმეტსაც დაკლებდა ფასს და ხშირად შაქრის ფასი ძალიან ეცემოდა და მექარხნეები ზარალობდენ. მექარხნეებს ეს არ მოეწონათ, რადგან ვერარ იღებდენ იმდენ სარგებელს, რაოგორც წინეთ და ამისათვის შეიკრიბენ, მოიდაბარაკეს და შეჭფიცეს ერთმანეთს, რომ ერთიმეორეს შეუკითხავად არავის არ შეეძლოს არც დაწევა და არც აწევა შაქრის ფასისა და ახლა ასეც იქცევიან. მთავრობამ არამც თუ დაუშალა ასეთი შეკავშირება, ხელიც შეუწეო, თითონ გამოუანგარიშა მექარხნეებს რამდენი შაქარი უნდა მოემზადებინათ წელიწადში, რომ მეტი არ დარჩენოდათ.

შეკავშირებულნი არიან აგრეთვე ბაქოს ნავთის ქარხნების ბატრონები. შეიკრიბებიან ხოლმე და დაუწესებენ ნავთის ფასს. მეტი რა გზა გაქვს, რომ არ აძლიო, რასაც ისინი გიბრძანებენ. „თუ არ გნებავს, მიბძანდიო“ გეუბნებიან, ბარემ კი წავიდოდა ხალხი და მოძებნიდა უფრო იაფი ნავთს, მაგრამ ვინ გაძლევს ნებას. მეფეც იმათ მხარეზეა. მეფე იმათ მხარეზედ რომ არ იყოს, ხალხი ამერიკის ნავთს დაუწყებდა ხარჯვას. ამერიკა ხომ ძალიან შორს არის, აბა იქიდგან აქ ნავთის მარტო გადმოტანა რა უნდა დაჯდეს, მაგრამ მთავრობას რომ დიდი ბაჟი არ დაეწესებინა ამერიკის ნავთზედ, ის უფრო იაფად გაიყიდებოდა აქ, ვიდრე ჩვენი ნავთი და თავში კი ქვას არ იხლიდენ ჩვენი მენავთეები და არ დაკლებდენ ფასს?

რაც დღე მიდის, ნავთი უფრო და უფრო ძვირდება. რა მიზეზია? განა ნავთის მრეწველობას ხეირი არა აქვს? ჭაი-ჭაი, რომ აქვს. გუშინდელი მეკურტნეები დღეს მილიონის ბატრონებად გადაიქცენ და რაში ეტეობა, რომ ხეირი არა ჭქონდეთ. სხვანი ბატონო, ეს დიბიანები ეხლა სამზღვარგარეთ და უოველიან მეფეს: „დიდი ზარალი მოგვაეენეს მუშებმაო“, იმას ხომ ადარ ფიქრობენ, რომ იმავე მუშების წეალობით უზარაულებთ მათ მილიონები, „ადარ შეგვიძლიან მუშობაო“; მეფეს შეებრალა ეს „საწყალები“, გადუბოძა ოცი მილიონი უსარგებლოდ და შეუთვალა „ნუ გეშინიათ, მე თქვენ მხარეს ვარო და თუ არ მოისვენეს საზიზღარმა თქვენმა მუშებმა, დავსვამ ჯარებს და სულერთიანად ამოგხოცო“. შეკავშირდენ შარშან რუსეთის მემამულეები, რომ საერთოთ დაეწესებინათ საიჯარო ფულის რაოდენობა, ფასი მომკელებისა და საზოგადოთ ხოლმის მუშის ხელ-ფასი, შეფიცეს ერთმანეთს, რომ არავინ გადასულიეო დადებულ სიტეკვას. მთავრო-

ბამ ამათაც ხელი მოუწეო. უბრძანა თავის გუბერნატორებს დახმარება ამოეჩინათ მეშამულეებისათვის და თუ მოითხოვდენ ჯარებიც გაეგზავნათ მათთვის.

კვეშირების შედგენა იეო დაშლილი მარტო მშრომელ ხალხისათვის. ბევრჯელ შეეცადა გლეხკაცობა შეკავშირებას, მაგრამ მეფე და მისი მთავრობა ეოველთვის ისეთს ზომებს ხმარობენ მათ წინააღმდეგ, რომ გლეხები ძალა-უნებურად ვერ უერთდებოდენ ერთმანეთს და ცალ-ცალკე დასტირიდენ თავიანთ უკეთმართ ბედს. მსოფლიო ამ ბოლოდროს, სწორეთ იმ გარემოებამ, რომ მთავრობა ეწინააღმდეგება გლეხების შეამსანაგებას, გამოიწვია რუსეთში გლეხების მტკიცე კავშირის დაარსება. სექმე ასე იეო.

შარშან როდესაც რუს-იაპონელთა ომი გაძლიერებული იეო, მოსკოვის გუბერნატორმა კრისტიმ და გენერალმა სამარინმა განიზრახეს მოსკოვის გუბერნიის გლეხთა სახელით შეედგინათ წერილი სელმწიფეს სახელობაზედ. ამ წერილით უნდა ეთხოვათ გლეხებს, რომ არამც და არამც მეფეს ომი არ შეეწყვიტა რუსეთის სრულ გამარჯვებამდის. სელმომწერი მოსკოვის გუბერნიის გლეხთა შორის ძალიან ტოტა ადმოჩნდა. ამის ნაცვლად კი გლეხთა შორის ადიარა სურვილი საგლეხო კავშირის შედგენისა. ამისათვის იგნისში გაიმართა კრება, რომელსაც დესწრო 22 გუბერნიიდან 100 წარმომადგენელი გლეხებისა და 25 განათლებული კაცი (ინტელიგენტი).

კრებამ უწინარეს ეოვლისა გამოიკვლია ის დედა აზრი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა გლეხების კავშირის ბრიგადამს, შეიმუშავა მომავალ მოქმედების გეგმა და მოწეობა. მეტად დიდი კამათი გამოიწვია იმან, თუ ვინ უნდა ეოფილიეო კავშირის წევრად. კრებამ დაადგინა: „ამ საქმის გადაწყვეტა დროებით მიენდოს ადგილობრივ ორგანიზაციებს *) და საბოლოო გადაწყვეტა კი გადაიდოს შეორე საეოველთაო კრებისათვის“. ორგანიზაციის (კავშირის მოწეობის) შესახებ კრებამ დაადგინა: „ამ კრებამ ამოიჩიოს უმთავრესი კომიტეტი (იეო არჩეული 8 კაცი, რომელნიც დარჩენ მოსკოვში და ამ დიდანვე შეუდგენ ოანამდებობის ადსრულებას) და დაარსებული იქნას საგუბერნიო, საამაზრო, საამამასაბლოისო და საასოფლო ორგანიზაციები“.

კამათიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივ კავშირების შესადგენათ უფრო მოსახერხებელი იეო საყოველთაო. ამ საყოველთაო იქნება შემდეგი მოქმედება: საოველდაო, უკვე შეგნებულ გლეხთა დახმარებაით ხელ-კრება. კადებას ესწრებიან მსურველნი, განურჩევლად სქესისა, ვინც კი 20 წელიწადს მიაღწია. ამ კრებაზედ დამხმარებელ ბიუროს წევრთა შემწეობით, ირკვევა ბრიგადამა და აზრი სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირისა. თუ კრება დაადგენს, რომ სურს ჩაეწეროს სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირში, ასეთი დადგენილება ეგზავნება საამამასაბლ ან საგუბერნიო ბიუროს. ადგილობრივი კავშირის მიმდინარე საქმეების გასაძღოლად კი სდგება ადგილობრივი კომიტეტი. მეზობელ სოფლების კომიტეტები თავიანთ წრიდან დახურულის კენჭის ყრით ირჩევენ საამამასაბლოისო ან საამაზრო კომიტეტს, რომელმაც უნდა იზრუნოს მთელის მაზრისათვის და ეცადოს ასად სოფლების შეერთებისათვის. ამ რაგვარდვე მაზრის კომიტეტების წევრები ირჩევენ საგუბერნიო კომიტეტს, რომელიც განაგებს მთელ გუბერნიას და რომელსაც ურთი-ერთობა აქვს მთავარ კომიტეტთან. როდესაც საგუბერნიო კომიტეტი სდგება, დამხმარებელი ბიუროთ თავისით ბათიდდება (ისეზა) და გლეხთა კავშირის საქმის გაძღოლას თვით გლეხები კისრულობენ.

კრებების ოქმები, დადგენილებანი და ეოველ მოქმედება სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირმა საქმეულნოდ გამოაცხადა, საქმის მეთაურებმა ეოველ საშუალება ისმარეს, რომ გამოეაშკარავებინათ მხოლოდ თვითონ გლეხების ნამდვილი აზრი და მისწრაფება, მაგრამ გლეხების კავშირს თავიდანვე ბევრი მტერი გაუჩნდა, რომელნიც ათასნაირ ცილის წამებას ავრცელებდენ კავშირის შესახებ. არწმუნებდენ ეველას, რომ ამ კრებებზე გლეხები არ იეენონ და სხვა. ეველა იკითხავს, ვისთვის რა საჭირო იეო სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის დაარსება? ამაკარაა: იმისთვის, ვისთვისაც გლეხთა კავშირის მოქმედება არაა ხელსაურელი და ვისაც გლეხების მძლავრმა ხმამ ძალი დაუეროხო და შეუშალა მშვიდობიანი განცხრომა სსვანი ოფლით გაშენებულ ადგილებში. ესენი ეველანი ერთხმად ასეთნებენ: „არიქა, ვიღუმებით, გლეხები ადარ გვეკრდებიან იმ ფასს, რასაც ჩვენი მოწეალება განუბოძებდა სოდმე მათ, გლეხები მიწის წართმევას

*) ორგანიზაცია ნიშნავს კავშირს, მოწეობას. იმავე წლის ნოემბერში მოსკოვში გაიმართა ახალი კრება რომელსაც დესწრო 28 გუბერნიის წარმომადგენელი, 150 კაცი.

გვიქადიან, ვრიქა გვიშველეთ, მოგვაშველეთ თოფ-ზარბაზანი და ჩაწყვეტინეთ ხმაო“. მაგრამ ამაოდ, ბატონო მუქთა ხორებო და მათ დამცველნო! მორჩა თქვენი ბატონობა! გლეხკაცობამ შეიგნო თავისი ძალა. იგი ათი ათასობით უერთდება გლეხთა კავშირს, რომლის ბაირადზედაც დიდის ასოებით დედის ძუძუსთან ერთად ჩანაძახი სიტყვები „მიწა და თავისუფლება“ აწერია.

ობოლი.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ყუმბარების სროლა

26 ივნისს ბათუმში ყუმბარები ესროლეს ურიადნიკს დიმიტრი მგელაძეს და სტრაჟნიკ ავცხლაძეს (ორივენი გურიაში „მოღვაწეობენ“), მაგრამ ვერა დააკლეს-რა.

პოლიციელების მოკვლა

ყვირილაში მოჰკლეს სტრაჟნიკი პ. კიკნაძე. ბაქოში მოჰკლეს პოლიცმეისტერის თანაშემწე ჟგენტი. — ტფილისში სასიკვდილოთ დასჭრეს ჟანდარმი პეტრენკო.

ჯარის აჯანყება

უკვე ვწერდით, რომ ალექსანდრეპოლში ჯარი ღელავს. ეხლა გვატყობინებენ: 26 ივნისს აქ პირველ და მეორე საპიორთა ბატალიონში, რომელიც ტფილისიდან ჩამოსულან, აჯანყება მოხდა. მიზეზი ის იყო, რომ გავარდნილა ხმა, ვითომ ტფილისიდგან მიეყვანოთ აქ დასახვრეტად 27 სალდათი მინგრელსკი პოლკისა. სალდათები იარაღით ხელში გამოსულან, მაგრამ გამოუწვევიათ დრაგუნთა პოლკი, ყაბარდინის ქვეითა ჯარის პოლკი და არტილერია და აჯანყებულ სალდათებისთვის ცხრაასი თოფი აუყრიათ.

ქუთაისში მყოფი სვანები მეტად შეშინებული არიან. ქალაქში ხმა დადის, რომ სვანეთის „დასაპყროობთ“ იგზავნება ჯარი და თუ მცირეოდენი წინააღმდეგობა გაუწიეს, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებენო. შეფიქრიანებული სვანები საგონებელში არიან ჩაცვივნულნი და არ იციან რა გზას მიჰმართონ, რომ სვანეთს საფრთხე თავიდან ააცილონ. დეპეშის გაგზავნა განუზრახავთ სახელმწიფო საათბიროს თავმჯდომარის სახელზე, მაგრამ ამით ეშველება რამე?! აი შემთხვევა, როცა დასავლეთ საქართველოს ამომრჩევლებს შეეძლოთ თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ საგნის შესახებ და ეცნობებინათ.

სალდათების მიტინგი ბათუმში

ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ იქ 25 ივნისს სალდათებს მიტინგი გაუმართავთ. მიტინგს დასწრებიან: არდაგანლები, სანაღმო როტა, საპიორები, მე-5 და მე-6 როტის არტილერისტები, ბატარეის 1, 2, 3 და მეოთხე როტები და თბილისის მსროლელი ბატალიონი. სალდათებმა გარშემო პატრულები დაიყენეს მიტინგის დასაცავათ. ოტა ხნის შემდეგ ერთ სალდათთან მივიდა აფიცერი და დათხოვნის ბილეთი მოსთხოვა. სალდათმა პასუხის ნაცვლათ ამოიღო ბილეთი, მიარტყა აფიცერს ცხვირში და ლაზათიანათ შეუკურთხა. აფიცრის მხლებლებს ჯარის-კაცებს უნდოდათ ხუთი სალდათის დაჭერა, მაგრამ სალდათები კარვებისაკენ გაიქცნენ თოფებისთვის, ზოგიერთები აფიცერს და მის მხლებლებს მივარდნენ და თოფები წაართვეს. აფიცერს ძალზე სცემეს ჯოხებით და ქვებით და დაატუსაღეს. მსროლელთა პოლკის სალდათებს უნდოდათ მოეკლათ ის მაგრამ არდაგანელებმა არ დაანებეს, გაიყვანეს კარგა მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც მიტინგი იყო და გაანთავისუფლეს. სალდათები მეტათ აღელვებული არიან. 27 ივნისს დაატუსაღეს 29 სალდათი. ჩუმათ გამოაპარეს ბათომიდან თბილისისკენ. მღელვარება მატულობს.

მორიგება ვერ მოხერხდა

30 ივნისს მორიგებაზე მოლაპარაკება ჰქონდათ ტფ. თამბაქოების ქარხნის პატრონებს და მუშებს. გამოირკვა, რომ ქარხნის პატრონები არაფერს უთმობენ მუშებს, ამიტომ მოლაპარაკება შესწყდა.

გაფიცვა ნოქრებისა ქუთაისში

ეს გაფიცვა გამარჯვებით გათავდა და ვაჭრებმა ყველაფერი დაუთმეს ნოქრებს.

გაფიცვა ჭიათურაში.

მუშების გაფიცვა ჭიათურაში გაგრძელდა სამ კვირამდე და გათავდა მუშების სრულის გამარჯვებით. მრეწველებმა ყველა მოთხოვნილება შეუსრულეს მუშებს.

მოთხოვნილებანი

ტფ. მებაღეებმა მუშებთან ერთათ თავიანთ „ხაზეინებს“ გუშინ-წინ მოთხოვნილებანი წარუდგინეს. მებაღეები ითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს, 20% მომატებას, საცხოვრებელ ბინის გაუმჯობესებას, წელიწადში ერთი თვით დასვენებას, ავადმყოფობის დროს ბაღის პატრონის საფასით ექიმობას, მოსამსახურეთა მიღების და დათხოვნის უფლებას, აბანოში წასასვლელად თვეში ორჯელ ფულის მიცემას, ყოველ წლიურად ფულის მომატებას და გაფიცვისათვის არავის დათხოვნას. მებაღეებმა სამი დღის ვადა მისცეს პატრონებს. მერე გაიფიცებიან.

ამგვარი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ყვავილების მაღაზიების ნოქრებმა და მომუშავეებმა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელნი ითხოვენ კვირა უქმე დღეებში დასვენებას, სადგომების ჰიგიენიურად მოწყობას, ზრდილობიანად მოქცევას და სხვას.

22 ივნისის გაფიცვის გამო

